


სექტორის ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი სტატისტიკა


2018 წლის მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება შემცირებულია 0.8%-ით 2017 წლის მეორე კვარტალთან შედარებით. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობის სექტორში გაზრდილია. მართალია, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სხვა სექტორებთან შედარებით უმნიშვნელოა, 2018 წლის მეორე კვარტლის მაჩვენებელი გაცილებით აღემატება წინა წლების შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2018
წლის მე-2 კვარტალი



წყარო: საქსტატი, 2018

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში



გარდა გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა, აღსანიშნავია ის, რომ წლევეანდელი რთველი, რომელიც 20 აგვისტოს დაიწყო, პირველად, ბოლო 10 წლის განმავლობაში, მიმდინარეობს სახელმწიფო სუბსიდირების გარეშე, რამაც გრძელვადიან პერიოდში ხელი უნდა შეუწყოს ღვინის ხარისხის გაუმჯობესებასა და მევენახეებისა და ღვინის კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

მართალია, წელს რთველი ჯერ არ დასრულებულა, და საბოლოო მონაცემები ყურძნის რაოდენობისა და მევენახეების შემოსავლების შესახებ ცნობილი არ არის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეფასებით, წლევეანდელი რთველი გამოირჩევა როგორც ჩაბარებული ყურძნის დიდი რაოდენობით, ასევე მევენახეებისთვის უფრო მაღალი შემოსავლებით.

ყურძნის რაოდენობა და მევენახეების
შემოსავლები



წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო, 2018


ფასები

ადგილობრივი ფასები

წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ფასების დონე სტაბილურად შენარჩუნდა; 2018 წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) უმნიშვნელოდ 0.5%-ით გაიზარდა 2018 წლის ივლისთან შედარებით. ხოლო 2017 წლის აგვისტოსთან შედარებით, სფი 3.1%-ით გაიზარდა.

2018 წლის აგვისტოში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 1.5%-ით, რამაც სფი 0.44 პროცენტული პუნქტით გაზარდა. სურსათის ფასების ცვლილებაზე ძირითადი გავლენა შემდეგმა ჯგუფებმა მოახდინა:

ფასების პროცენტული ცვლილება აგვისტოს თვეში ივლისის თვესთან შედარებით



ბოსტნეული და ბალჩეული (16.4% ↑)



ხილი და ყურძენი (-16.2% ↓)



რძე, ყველი და კვერცხი (4.8% ↑)



2018 წლის აგვისტოში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 3.2%-ით წინა წლის აგვისტოსთან შედარებით, რაც წლიურ ინფლაციის მაჩვენებელში 0.96 პროცენტული პუნქტით აისახა.

ყველაზე დიდი პროცენტული ცვლილება წინა წლის აგვისტოსთან შედარებით განიცადა სურსათის შემდეგმა ჯგუფებმა:

ფასების პროცენტული ცვლილება 2018 წლის აგვისტოს თვეში 2017 წლის აგვისტოს თვესთან შედარებით



ბოსტნეული და ბალჩეული (24.7% ↑)



ხილი და ყურძენი (-17.1% ↓)




ზეთი და ცხიმი (4.4% ↑)



უფრო ვრცლად რძის ფასებზე

2018 წლის აგვისტოში რძისა და რძის პროდუქტების კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასები გაიზარდა, როგორც წინა თვესთან, ასევე წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით. როგორც დიაგრამაზე ჩანს, ფასები წლიურად გაიზარდა შემდეგ პროდუქტებზე: რძე (7%), სულგუნი (6%), შესქელებული რძე და რძის შემცველი პროდუქტი (5%), მოუხდელი ყველი (4%), ხაჭო (3%), ქარხნული რძე (2%), იოგურტი (2%) და არაჟანი (1%). ამასთან, უმნიშვნელოდ შემცირდა მაწონის ფასი (-2%). **რძის მწარმოებლების განცხადებით**, რძის ფასების ზრდის მიზეზი რძის შემცირებული წარმოებაა. 2018 წლის როგორც პირველ, ასევე მეორე კვარტალში რძის წარმოება 5%-ით შემცირდა 2017 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (საქსტატი, 2018). ამავდროულად, რძის საერთაშორისო ფასები 2018 წლის აგვისტოში 10.7%-ით შემცირდა წინა წლის აგვისტოსთან შედარებით, რაც განპირობებულია ახალ ზელანდიაში მოსალოდნელზე უფრო მაღალი წარმოებული რძის რაოდენობით. ამასთანავე, შემცირდა რძის ფხვნილის საერთაშორისო ფასებიც, რაც შესაძლოა, კარგი სიახლე აღმოჩნდეს ქართველი მწარმოებლებისთვის. ამ ეტაპზე საერთაშორისო ტრენდები არ ასახულა ქართულ ბაზარზე, თუმცა ნოემბრიდან, როდესაც


ნედლი რძის რაოდენობა იკლებს, და მწარმოებლები იმპორტირებულ რძის ფხვნილს იყენებენ, საერთაშორისო ბაზარზე რძის გაზრდილი მიწოდება და გაიაფებული რძის ფხვნილი, შეამცირებს ქართველი მწარმოებლების დანახარჯებს, რაც ასევე უნდა ისახოს რძის პროდუქტების ფასზეც.



წყარო: საქსტატი, 2018

საერთაშორისო ფასები



2018 წლის აგვისტოში სურსათის საერთაშორისო ფასები შემცირდა. ამ პერიოდში სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2017 წლის აგვისტოსთან შედარებით 5.4%-ით შემცირდა. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: შაქარი(-22.8%), მცენარეული ზეთი(-16%), რძის პროდუქტები(-10.7%) და ხორცი(-4.6%). აღსანიშნავია, რომ 2018 წლის აგვისტოში, FAO-ს შაქრის ფასების ინდექსმა დადამსვლა განაგრძო და ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია, რაც ბრაზილიისა და ინდოეთის ვალუტების აშშ დოლართან მკვეთრი გაუფასურებითაა გამოწვეული.



წყარო: FAO, 2018



ვაჭრობის სტატისტიკა

2018 წლის აგვისტოში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა (მათ შორის საკვები პროდუქტები) შეადგინა 51 მლნ. აშშ დოლარი, რაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 25%-ს შეადგენს. აღნიშნული რიცხვი 7%-ით ნაკლებია 2017 წლის აგვისტოს იგივე მაჩვენებელზე. იმპორტზე დაკვირვებისას კი დადგინდა, რომ 2018 წლის აგვისტოში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი იყო 90 მლნ. აშშ დოლარი, რაც საქართველოს მთლიანი იმპორტის 15%-ს შეადგენს. გასული წლის აგვისტოსთან შედარებით, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი გაიზარდა 3%-ით.



ექსპორტის დივერსიფიკაცია

ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით, რომლითაც იზომება ქვეყნის ექსპორტ/იმპორტის დივერსიფიკაცია და რომელიც იღებს ნულიდან ერთამდე შუალედში მნიშვნელობას, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი როგორც პროდუქტების ისე ქვეყნების მიხედვით არ არის ძალიან კონცენტრირებული. ორივე ინდექსის მნიშვნელობა დაბალია და მერყეობს [0,08-0,15] შუალედში. მოცემული პერიოდისთვის ყველაზე მაღალი HHI სასოფლო-სამეურნეო ექსპორტისთვის პროდუქტების მიხედვით დაფიქსირდა 2017 წლის ნოემბერში (0,154), მაშინ როცა ყველაზე დაბალი (0,106) დაფიქსირდა 2017 წლის დეკემბერში. HHI სასოფლო-სამეურნეო ექსპორტისთვის ქვეყნების მიხედვით ყველაზე მაღალი იყო (0,14) 2017 წლის ნოემბერში და ყველაზე დაბალი (0,08) იმავე წლის სექტემბერში.





წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი მოიცავს საკვები პროდუქტების ექსპორტსაც

იმპორტის დივერსიფიკაცია

რაც შეეხება იმპორტის დივერსიფიკაციას ყველაზე მაღალი HHI სასოფლო-სამეურნეო იმპორტისთვის პროდუქტების მიხედვით დაფიქსირდა 2018 წლის აგვისტოში (0,043), მაშინ როცა ყველაზე დაბალი 2018 წლის მარტში (0,022). ყველაზე მაღალი HHI სასოფლო-სამეურნეო იმპორტისთვის ქვეყნების მიხედვით დაფიქსირდა 2018 წლის თებერვალში (0,132), ხოლო ყველაზე დაბალი 2018 წლის ივნისში (0,097).



წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები;

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტი მოიცავს საკვები პროდუქტების იმპორტსაც

პოლიტიკის მიმოხილვა

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ეროვნული სისტემის (NAITS) იმპლემენტაცია გრძელდება

ცხოველთა იდენტიფიკაციის სისტემის (NAITS) ახალ, გაუმჯობესებულ მოდელზე გადასვლა 2016 წლიდან მიმდინარეობს. იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველური ნაწარმის მიკვლევადაობას, რაც სურსათის უვნებლობის საფუძველია.

მეტი ინფორმაციისთვის: <http://www.interpressnews.ge/ka/article/512386-cxovelta-identipikaciis-programis-implemtacia-oie-konperenciaze-ganixiles>

შელავათები კენკროვნების მწარმოებელთათვის

კენკროვანი კულტურების გაშენების მხარდასაჭერად, საქართველოს 5 რეგიონში კენკროვანი კულტურის ნერგების შექმნა და მოყვანა სრულად დაფინანსდება. კერძოდ, განსაზღვრულ რეგიონებში, დაფინანსდება: შესაძენი ნერგების ღირებულების 100%, როგორც ადგილობრივ ბაზარზე შექმენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში; წვეთოვანი სარწყავი სისტემების ღირებულების 100%; ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ღირებულების 100%.

მეტი ინფორმაციისთვის: <https://bpn.ge/finansebi/49018-ra-sheghavathebi-sheekhebath-kenkrovani-kulturis-gashenebisas-metsarmeeps.html?lang=ka-GE>